ამონაწერი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი №18-დან

სხდომას ესწრებოდა:

1. **აკაკი ბაკურაძე**
2. **გოდერძი შანიძე**
3. **მამუკა შენგელია**
4. **ნათელა ვაშაკიძე**
5. **ნანა ბენიძე**
6. **ირაკლი შენგელია**
7. **ნაირა ვირსალაძე**
8. **თენგიზ კუპრაშვილი**
9. **ირაკლი შენგელია**
10. **ნანა ბენიძე**
11. **დავით გეგეჭკორი**
12. **შოთა კუჭუხიძე**

დღის წესრიგი

საკითხი II. სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საკითხვისთვის სპეციალურად მოწვეულ იქნა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე შოთა ლომინაშვილი.

/მომხს. შოთა ლომინაშვილი/

მოისმინეს: შ. ლომინაშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო აქამდე ხელმძღვანელობდა აწსუ-ს აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული დოქტურანტურის დებულების შესაბამისის პრინციპებით.

ამჯერად, აღნიშნა მომხენებელმა, შევქმენით ჩვენი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელიც მოიცავს მთლიან პროცედურულ ნაწილს სადაც არწერილია სრულად სადისერტაციო საბჭოს მოქმედებსი არეალი, მუშაობის და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურები.

მომხსენებელმა დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დებულების ყველა მუხლი და დანართები და, დასასრულს, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალს დებულების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

შემდეგ, სიტყვა ითხოვა ა. ბაკურაძემ, რომელმაც პერსპექტივასი აღწერა საკითხის მნიშვნელობა.

აზრი გამოთქვა: გ. შანიძემ და ნ. ვირსალაძემ, რომლებმაც აღნიშნეს ამ დებულების მიღების აუცილებლობა. სხდომის სხვა წევრებიც დაეთანხმდნენ გამომსვლელთა მოსაზრებებს.

დაადგინეს:

I. დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება;

II. დაევალოს ფაკულტეტის დეკანს მიეცეს საკითხს შემდგომი მსვლელობა.

სხდომის თავჯდომარე: ა. ბაკურაძე

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
DEAN OFFICE
ქუთაისი • საქართველო

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადისერტაციო საბჭოს

დებულება

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს
2018 წ. 20 ივლისის სხდომაზე, ოქმი #18

ქუთაისი

2018

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს დებულება აწესრიგებს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებისდოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების აუცილებელ პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62 (17/18) დადგენილების შესაბამისად.

1.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაში მიღება და სწავლება ხორციელდება ერთიანი წესით და მის პროცედურებს განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპები.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

2.1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიური საბჭოს თანხმობით სადისერტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილი იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ასეთ შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კანდიდატის მიერ დაკავებულ აკადემიურ თანამდებობას.
- პერსონალური მონაცემები (CV)

2.3. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს თავჯდომარე. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

2.4. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას ორგანიზებულად უზრუნველყოფს მდივანი.

2.5. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების შესაბამისად.

2.6. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

2.7. სადისერტაციო საბჭოს პერსონალური გადაწყვეტილება ადრესატ დისერტანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

3.1. სადისერატაციო საბჭო:

ა) ირჩევს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;

ბ) შეარჩევს სადისერტაციო საბჭოს მდივანს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

გ) ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

დ) ადგენს და საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს, დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

ე) ადგენს დისერტაციისა და ავტორეფერატისადმი წაყენებელ მოთხოვნებს;

ვ) ქმნის სადისერტაციო ნაშრომის საექსპერტო კომისიას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

ზ) შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს) და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

თ) განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

ი) ქმნის სადისერტაციო კომისიას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

კ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს დოკუმენტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

ლ) ადგენს რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალების სიას, რომლებშიც დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სავალდებულო ნაშრომები. ***(დანართი 1).***

მ) ადგენს დისერტაციის ავტორეფერატების დასაგზავნი ორგანიზაციების სიას. ***(დანართი 2).***

ნ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტისა და შემფასებლის რეცენზიისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს ***(დანართი 3);***

ო) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ამ დებულებაში ცვლილების შეტანის ინიცირებას.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

4.1. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4.2. ერთი და იგივე პირი ერთი და იგივე ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს მდივნი

5.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) თავმჯდომარის წარდგინებით არჩევს სადისერტაციო საბჭო და დასამტკიცებლად წაარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. მდივნის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

5.2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას და დოკუმენტალურ საქმის წარმოებას;

ბ) კონსულტაციებს უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვისათვის და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომი

6.1. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

6.2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევაში.

6.3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (**ავტორეფერატი**) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე.

6.4. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

6.5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

6.6. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი და სხვა მონაცემები განსაზღვრულია ამ დებულების მე-7 მუხლის 11-ე და 13-ე პუნქტებით.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო განხილვაზე გატანის წინაპირობები

7.1. სადოქტორო პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისების დამადასტურებელი კრებსითი უწყისის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში.

7.2. დოქტორანტის აქტიური სტატუსი და ფინასური დავალიანების არქონა.

7.3.სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული არანაკლებ ორი კოლოქვიუმისა და ორი სემინარის შესრულება. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდიკა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №57(16/17) დადგენილებით; კოლოქვიუმის ან/და სემინარის შესაფასებლად, სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტის მიერ, გამოიყოფა რეცენზენტი, რომლის დადებთი რეცენზიის (უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში ინიშნება ორი ახალი რეცენზენტი. ორივე რეცენზენტის უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია კოლოკვიუმი ან/და სემინარი თავიდან მოამზადოს სხვა თემაზე) წარდგენის საფუძველზე, იმავე დეპარტამენტის მიერ, იქმნება შემფასებელი კომისია არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. რეკომენდებულია (მაგრამ არა სავალდებულო) კოლოკვიუმის ან/და სემინარის მოსმენა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტის სხდომაზე. კომისიის წევრებს კოლოკვიუმის ან/და სემინარის მასალა (მოხსენება) ეგზავნებათ მოსმენამდე არა ნაკლებ 3 დღით ადრე. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს ან/და სემინარს აფასებს დოქტორანტურის განყოფილების მიერ დადგენილი წესით. შემფასებელი კომისიის შედეგეგები მოხსენდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტის სხდომაზე, რის საფუძველზეც კოლოკვიუმი ან/და სემინარი ჩაითვლება (ან არ ჩაითვლება) შესრულებულად.

7.4. სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის პუბლიკაციების გამოქვეყნება სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გამოცემებში, რომლებიც დასტურდება სტატიის გამოქვეყნებით ან გამოსაქვეყნებლად მიღების ცნობით. ერთ სავალდებულო ნაშრომად დისერტანტმა შეიძლება წარმოადგინოს მონოგრაფიაც. მონოგრაფიაა სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღწერის, მათი გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების, მიღწეული კვლევითი შედეგების გამოცემა ბეჭდვითი სახით, ISBN, ISSN კოდით, არანაკლებ 100 ტირაჟით.

7.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენებებით, რისი შესრულებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით.

7.6. საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის სტატიების ანონიმი ექსპერტების მიერ შეფასება.

7.7. სადისერტაციო საბჭოს მიერ ოფიციალური ექსპერტების გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს. ოფიციალური ექსპერტების რაოდენობა და მათი შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 19.

7.8. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის განხილვა, სპეციალური სამეცნიერო სემინარის სხდომაზე, დისერტაციის შესრულების დეპარტამენტში.

7.9. ოფიციალური ექსპერტების დადებითი შეფასებისა და სპეციალური სამეცნიერო სემინარის დადგენილების საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მიერ 2 ან 3 შემფასებლის გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს. ოფიციალური შემფასებელის (რეცენზენტის) შრომის შინაარსი განისაზღვრავრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 20 და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №40(14/15) დადგენილებით.

7.10. ოფიციალური შემფასებლების (რეცენზენტების) დადებითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება ეძლევა დისერტაცია გაიტანოს სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისიის საჯარო დაცვაზე.

7.11. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 160-200 გვ. (არაუმეტეს 300 000 ასო-ნიშნია). ფურცლის ფორმატი - A4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა - Sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან - 3 სმ., მარჯვნიდან - 1 სმ., ზემოდან - 2,5 სმ., ქვემოდან - 2,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათალი.

7.12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ გამოიცემა ავტორეფერატი და ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ადრესატებს. ***(დანართი 2).***

7.13. ავტორეფერატის ზღვრული მოცულობა - 35 გვ. (არაუმეტეს 60 000 ასო-ნიშანი); ფურცლის ფორმატი - A4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა - Sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან - 3 სმ., მარჯვნიდან - 1 სმ., ზემოდან - 2,5 სმ., ქვემოდან - 2,5 სმ. რეკომენდირებულია ავტორეფერატი დაიბეჭდოს ბროშურის სახით A5 ფორმატში გადაყვანილი, არა უმეტეს 32 გვერდისა, თითოეულ ენაზე, სატიტულო გვერდების ჩათვლით.

7.14. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის განმარტებითი ბარათი იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია მის მიერ და ყველა გამოყენებული წყარო ზუსტად და სრულადაა მითითებული.

მუხლი 8. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

8.1. სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეფერატი საბჭოს წარედგინება ოთხ-ოთხ აკინძულ და თითო ელექტრონულ ეგზემპლარად (ერთ მყარ დისკზე).

8.2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

8.2.1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კრედიტების სრულად დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

8.2.2. დოქტორანტის აქტიური სტატუსის და ფინასური დავალიანების არქონის ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან.

8.2.3. სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგებზე, დისერტაციის დაცვამდე გამოქვეყნებული, არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის ამონაბეჭდები. ნაშრომთაგან ორს მაინც გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო რეცენზირება, ან გამოქვეყნებული იყოს საერთაშორისო რეცენზირებად ან საზღვარგარეთის რეცენზირებად ჟურნალებში.

8.2.4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოგონების (თუ ასეთი არსებობს) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი;

8.2.5. სამეცნიერო კონფერენციების, სემინარებისა და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულების აპრობაცია განხორციელებული უნდა იყოს მინიმუმ სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, სემინარზე ან ფორუმზე.

8.2.6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

8.2.7. დოქტორანტურის განყოფილების მიერ გაცემული ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კოლოკვიუმების და სემინარების ჩაბარების შესახებ.

მუხლი 9. საექსპერტო კომისია

9.1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის წინასწარ განსახილველად უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საექსპერტო კომისიას არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 წევრის რაოდენობით.

9.2. საექსპერტო კომისიაში შეიძლება შეყვანილი იქნას სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები სადისერტაციო თემის მიმართულებით.

9.3. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტის ანაზღაურება შეადგენს 150 ლარს.

მუხლი 10. საექსპერტო კომისიის უფლებამოსილება

10.1. საექსპერტო კომისიას ევალება: ა) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის შესაბამისობის დადგენა სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნებთან; ბ) სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ განხილვაზე წარდგენის საკითხის გადაწყვეტა.

10.2. სადისერტაციო ნაშრომის განხილვა ტარდება საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო სემინარზე აწსუ-ში (დისერტაციის შესრულების დეპარტამენტში) ან პარტნიორ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაში.

10.3. საექსპერტო კომისიამ დასკვნა უნდა წარმოადგინოს შექმნიდან 45 დღის ვადაში.

10.4. საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა უფლება 6 თვის ვადაში ხელახლა წარადგინოს დისერტაციის შესწორებული ვარიანტი.

10.5. მოთხოვნის შემთხვევაში საექსპერტო კომისიის წევრებს ეგზავნება რეცენზიისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები ***(დანართი 3).***

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

11.1. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ორ ან სამ შემფასებელს (რეცენზენტს), რომელთაც ეგზავნებათ დისერტაცია და ავტორეფერატი. შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

11.2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთს მაინც ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან:

11.2.1. არის ავტორიზებული უნივერსიტეტის პროფესორი;

11.2.2. არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

11.2.3. არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი;

11.2.4. არის საჯარო სამართლის სამეცნიერო-კვლევითი იურიდიული პირის, უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;

11.2.5. არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპოდენტი;

11.2.6. არის საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი;

11.2.7. არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ემერიტუსი.

11.3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ რეცენზენტად (შემფასებლად) შეიძლება დაინიშნოს ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან ავტორიზებული უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აკადემიური დოქტორი), რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომისა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.

11.4. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი. სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, აგრეთვე იმ ქვედანაყოფის წევრი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

11.5. დაუშვებელია, რომ შემფასებლები იყვნენ ერთი ორგანიზაციის ერთი და იგივე ქვედანაყოფის თანამშრომლები.

11.6. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

11.7. თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

11.8. ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს.

11.9. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის (შემფასებელის) ანაზღაურებაა 250 ლარი.

11.10. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე აღარ დაიშვება.

11.11. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის იგივე ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

მუხლი 12. სადისერტაციო კომისია

12.1. რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წარმართვის მიზნით ქმნის სადისერტაციო კომისიას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

12.2. სადისერტაციო კომისია იქმნება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 პირის შემადგენლობით, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

12.3. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

12.4. სადისერტაციო კომისიის წევრად არჩეული უნდა იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე სპქციალისტი. კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც, ამ დებულებების, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია კომისიის წევრთა არანაკლებ 1/2 აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც, ამ დებულებების, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. სამეცნიერო ხელმძღვანელი და შემფასებლები (რეცენზენტები) არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო კომისიის წევრები. ისინი კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

12.5. სადისერტაციო კომისის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები.

12.6. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 1/3 - სა უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო ზემოაღნიშნული პრინციპებით სადისერტაციო კომისიის კომპლექტაცია შეუძლებელია, საკითხს შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

12.7. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული არანაკლებ ორი პირი, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები.

12.8. სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან მოწვეული სადისერტაციო კომისიის წევრის ანაზღაურება შეადგენს 130 ლარს.

12.9. დოქტორანტი სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შემდეგ ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოფს კომისიის თითოეულ წევრს სადისერტაციო ნაშრომით და ავტორეფერატით.

12.10. სადისერტაციო კომისიის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისიის წევრთა შემადგენლობიდან.

12.11. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

12.12. სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტს დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

12.13. სადისერტაციო კომისიის მუშაობის ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 13. დისერტაციის დაცვა

13.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო .

13.2. დისერტაციის დაცვა ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას და ხელმზღვანელის დასკვნით წარადგენს სადისერტაციო საბჭოში.

13.3 დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან არაუადრეს 4 კვირის ვადაში. დაცვის თარიღს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უნივესიტეტის რექტორი.

13.4. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

13.5. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

13.6. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

13.6.1. დოქტორანტის წარდგენა კომისიისადმი საბჭოს მდივნის მიერ;

13.6.2. დოქტორანტის მოხსენება (არა უმეტეს 30 წუთისა);

13.6.3. რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა შემფასებლების მიერ;

13.6.4. სამეცნიერო დისკუსია;

13.6.5. სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად;

13.6.6. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

13.7. სავალდებულოა დისერტაციის დაცვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეო გადაღება, რომელიც გადაიტანება მყარ დისკზე და თან დაერთვის დაცვის ოქმს. გადაღების პროცესს უზრუნველყოფს დისერტანტი.

13.8. დისერტაციის დაცვის მოწყობა შესაძლებელია ერთი რეცენზენტის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაშიც, თუ მისი რეცენზია დადებითია. თუ რეცენზენტი, რომლის შეფასება უარყოფითია, დაცვას ვერ ესწრება, დაცვა გადაიდება.

13.9. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

13.10. დისერტაციების დაცვები ტარდება აკადემიური წლის განმავლობაში.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

14.1 დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს სადისერტაციო საბჭო.

14.2. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ. დისერტაციისა და დაცვის შეფასებების საფუძველზე სადისერტაციო კომისია ამტკიცებს საბოლოო შეფასებას.

14.3. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

14.4. კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოყვანილი სისტემით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10) დადგენილებით. დეტალები იხილეთ დანართში ***(დანართი 4).***

14.5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის

ა - ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;

ზ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 15. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, 6 თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია სტამბური სახით ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან არა უგვიანეს ორი კვირისა სადისერტაციო ნაშრომი განათავსოს უნივერსიტეტის საიტზე.

მუხლი 16. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს, სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ანიჭებს სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

17.1 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი.

17.2. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არა უადრეს სამი და არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში, დისერტაციის დაცვის დღიდან. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

17.3. დიპლომში აღნიშნულია სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, საერთო შეფასება და სპეციალობის დასახელება.

17.4. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

17.5. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი) დარღვევის დამტკიცების შემთხვევაში.

დანართები:

დანართი #1

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების გამოსაქვეყნებელი გამოცემებისა და ჟურნალების ნუსხა

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იქნას დაცვამდე, არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით საერთაშორისო რეცენზირებად ან საზღვარგარეთის რეცენზირებად ჟურნალებში (ან ნაშრომთაგან ორმა მაინც უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება).

1. <u>უცხოური გამოცემები:</u>

1.1. იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალი (Elibrary, ВИНИТИ РАН, РИНЦ, Scopus და საერთაშორისო ციტირების ინდექსი);

1.2. საერთაშორისო კონფერენციის მასალები (ე. წ. Proceedings), რომელზესაც მითითებული აქვს - „რეცენზირებადი“;

1.3. საზღვარგარეთ გამოცემადი ნებისმიერი რეცენზირებადი ჟურნალი.

2. <u>საქართველოში გამოცემადი რეცენზირებადი ჟურნალები:</u>

2.1. „ეკონომიკა“;

2.2. „ბიზნეს ინჟინერინგი“;

2.3. „საქართველოს ეკონომიკა“;

2.4. „ახალი ეკონომისტი“;

2.5. „ეკონომიკური პროფილი“;

2.6. „ბიზნესი და კანონმდებლობა“;

2.7. „გადასახადები“;

2.8. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“;

2.9. „ეკონომიკა და ბიზნესი“;

2.10. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“;

2.11. ”სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნე”,

3. <u>საქართველოს სამეცნიერო გამოცემები</u>:

3.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები;

3.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომები;

3.3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები.

დანართი №2

სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატის დასაგზავნი ორგანიზაციის (დაწესებულების) ნუსხა

№	ადრესატი	ადრესატის მისამართი
1	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქართველოს თბილისის მერაბ კოსტავას #1/4
2	ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთკა	საქართველო თბილისი ჭავჭავაძის #1
3	საქართელოს წიგნის პალატა	საქართველო თბილისი საბურთლოს #147
4	საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა	საქარტველო თბილისი მ. ალექსიძის #1
5	საქართელოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	საქართველო თბილისი გულიაშვილის #9
6	აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი	საქართველო ბათუმი მ. აბაშიძის #58

დანართი #3

სტანდარტული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომზე, რეცენზიის მიმართ

1. რეცენზიაში დაფიქსირებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის თემა და ავტორი;
2. განსაზღვრული (დახასიათებული) უნდა იყოს თემის აქტუალობა;
3. მიმოხილული უნდა იყოს სარეცენზიო ნაშრომი;
4. გამოთქმული უნდა იყოს შენიშვნები;
5. რეცენზია უნდა მოიცავდეს დასკვნით ნაწილს, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული რეცენზენტის პოზიცია სარეცენზიო ნაშრომის თაობაზე:

   ა) არის თუ არა სარეცენზიო ნაშრომი დასრულებული და ერთი პრობლემისადმი მიძღვნილი კვლევა;

   ბ) აქვს თუ არა ნაშრომს სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა (ღირებულება);

   გ) აკმაყოფილებს თუ არა ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

   დ) საბოლოო დასკვნა:

   დ.ა) ექსპერტისაგან - დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შემდგომში მსვლელობის მიცემის ანუ საჯარო დაცვაზე (განხილვაზე) გატანის რეკომენდაციის (ან უარის) შესახებ;

   დ.ბ) შემფასებლისაგან - დასკვნა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზანშეწონილობის (ან უარის) შესახებ;
6. რეცენზიის ავტორის ხელმოწერა დადასტურებულ უნდა იყოს, ოფიციალურად მითითებული სამუშაო ადგილის სათანადო სამსახურის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით, თარიღის მითითებით.

დანართი 4

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოთვლის წესი:

ა) კომისიის თითოეული წევრი ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;

ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამება რიცხვები1-დან 7-მდე,შეაბამისობის შემდეგი სქემით: 1-„სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, 2-„არადამაკმაყოფილებელი“, 3- „დამაკმაყოფილებელი“, 4- „საშუალო“, 5-„კარგი“, 6- „ძალიან კარგი“, 7- „ფრიადი“;

გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0;

დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 - თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ - ის ტოლად. თუ E_0 არი1 n,4 სახის, მაშინ E განისაზღვრება n-1 -ს ტოლად).

ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება.